საქმე N2/28296-17

11337585872819

ამონაწერი კრედიტორთა კრების ოქმიდან

17 დეკემბერი 2025 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი
სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

ი/მ ფარვანა იუსუბოვას კრედიტორთა კრება

მოსამართლე აქვეყნებს **ზვიად გადელიას, სამინ გუსეინოვის და იუსუბ იუსუბოვის** მოთხოვნას **ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოში ზვიად გადელიას განცხადება წარმოდგენილია 2017 წლის 19 დეკემბერს, სამინ გუსეინოვის განცხადება წარმოადგენილია 2017 წლის 19 დეკემბერს და იუსუბ იუსუბოვის განცხადება წარმოადგენილია 2018 წლის 03 ოქტომბერს. განცხადებით განმცხადებლებმა მოითხოვეს **ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარება. 2018 წლის 05 ოქტომბერს გამართულ კრედიტორთა კრებაზე სასამართლომ სავარაუდო კრედიტორებს (განმცხადებლებს) შესთავაზა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც კრედიტორული დავალიანების აღიარებისათვის იქნებოდა მნიშვნელოვანი, შეეხებოდა საგადასახადო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს.

2025 წლის 17 დეკემბერს გამართულ კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველის წარმომადგენელმა ლევან პარუნაშვილმა განცხადებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სავარაუდო კრედიტორებს ამ დრომდე დამატებით არანაირი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენიათ და სხვა არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება, რის საფუძველზეც მართებული და საფუძვლიანი იქნებოდა მათი კრედიტორად აღიარება, ამიტომ მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფლიდეს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლე მოუსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კრედიტორთა მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლების ზვიად გადელიას, სამინ გუსეინოვის და იუსუბ იუსუბოვის მოთხოვნა უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-19, 21-ე, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზვიად გადელიას, სამინ გუსეინოვის და იუსუბ იუსუბოვის მოთხოვნა ი/მ ფარვანა იუსუბოვას გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**